ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1994705

ნომერი: AR1313679

თარიღი : 28.05.2015

გაცემის თარიღი : 06.07.2015

გაცნობის თარიღი : 06.07.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , I და II მ/რ-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა გობრონიძის , ნაკვეთი N03/036-ის მიმდებარედ (ნაკვ.03/042)/ ქალაქი თბილისი , ქუჩა გობრონიძის , N9-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი 03/029) / ქალაქი თბილისი , გობრომიძის N13 შ.პ.ს. დილეოს და ავტო სადგომს შორის/ ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , მიკრო/რაიონი II , კორპუსი 2 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , შპს ,,ლეგია და კომპანია"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კარლო მშვიდობაძე პ/ნ 62001038592
- სოხუმი ძიძარიას ქ. N 18

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.07.2009 წლის #754 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე
მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მინდობილმა პირმა კარლო მშვიდობაძემ 28.05.2015 წ. #AR1313679 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 28.07.2009 წლის #754 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა კერძოდ, ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის

არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 28.07.2009 წ. #01.11.17.003.007 (ფართობი: 600 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულზე საზოგადოებრივი კვების ობიექტის აშენების მიზნით დადგენილ იქნა #754 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ხოლო ამავე სამსახურის 12.06.2013 წ. #736411, 15.08.2013 წ. #847134 და 07.08.2014 წ. #1422976 ბრძანებებით ცვლილება შევიდა ზემოხსენებულ პირობებში.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 28.07.2009 #754 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის ფუნქციის დაფიქსირებასთან დაკავშირებით, კერძოდ: საზოგადოებრივი კვების ობიექტის და საბანკეტო დარბაზის დაფიქსირება.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 28.07.2009 წლის #754 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.07.2009 წლის #754 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტში დაფიქსირდეს: საზოგადოებრივი კვების ობიექტი და საბანკეტო დარბაზი;
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.07.2009 წლის #754 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს შემდეგი: • „ვინაიდან, ამონაწერში საჯარო რეესტრიდან ფიქსირდება ვალდებულება/შეზღუდვა - დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე, პროექტის შეთანხმების სტადიაზე დაცული, ან ამოღებული იქნას აღნიშნული ვალდებულება“;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.07.2009 წლის #754 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 15.02.2011 წ.#485 12.06.2013 წ. #736411, 15.08.2013 წ. #847134 და 07.08.2014 წ. #1422976 ბრძანებებთან ერთად.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.